**საქართველოს მთავრობის**

**დადგენილება №539**

**2025 წლის 15 დეკემბერი**

**ქ. თბილისი**

**„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №473 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

**მუხლი 1**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №473 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 17/09/2018, 010240030.10.003.020789) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების“:

**1. მე-3 მუხლის „ღ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.**

**2. $8^6$ მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ბ.დ“, „ბ.ბ.ე“, „ბ.ბ.თ“ – „ბ.ბ.ჟ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს.**

**მუხლი 2**

დაევალოთ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ამავე სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს ამ დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებული ღონისძიების უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების გატარება.

**მუხლი 3**

1. დადგენილება, გარდა ამ დადგენილების პირველი მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. ამ დადგენილების პირველი მუხლი ამოქმედდეს 2026 წლის 1 თებერვლიდან.

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი კობახიძე**